ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

პროექტის ანგარიშგების ფორმა

(ამ ფორმის შევსება და ფონდისათვის წარდგენა სავალდებულოა გრანტის მიმღებისათვის.
ფორმა ფონდს უნდა წარედგინოს პროექტის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში)

პროექტის №: LDD/14/15-20078

პროექტის სათაური: კახეთის მუნიციპალიტეტებში ელექტრონული გამჭვირვალობის გაუმჯობესების და თვითმმართველობის საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა

ფორმა შეავსო: საბა ბუაძე
(სახელი და გვარი)

პროექტის კოორდინატორი
(პოზიცია: პროექტის ავტორი/დირექტორი...)

შევსების თარიღი: 03.10.2016

გრანტის მიმღები: ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
(სახელი და გვარი/ორგანიზაციის დასახელება)

ალ. გრიბოედოვის ქ. # 3
(მისამართი)

პროექტის სრული ბიუჯეტი: 44 950 USD $

პროექტის დაწყების თარიღი: 16.10.2015

პროექტის დასრულების თარიღი: 16.09.2016

1. რა იყო თქვენი პროექტის მიზანი/მიზნები?

პროექტის მიზნები იყო:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება;
- საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტურობის და გამჭვირვალობის ხელშეწყობა;
- ელექტრონული დემოკრატიის სტანდარტების დამკვიდრებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის, არასამთავრობო სექტორისა და მედიის ჩართულობით საჯარო დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის ინფორმირებულება და საზოგადოების ჩარათულობის ინტენსივობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2. მიაღწიეთ თუ არა პროექტის მიზანს/მიზნებს?

(იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მიზანი/მიზნები სრულად არ იქნა მიღწეული, მიუთითეთ დასახული მიზნებიდან რას ვერ მიაღწიეთ)

პროექტის გრძელვადიან ამოცანას წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ვებგვერდის ისეთი კონცეფციის შემუშავება და დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის გაზრდას და მოქალაქეთა ელექტრონული ჩართულობის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას.

პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებგვერდები უზრუნველყოფს როგორც გამჭვირვალობის, ისე ელექტრონული ჩართულობის მაღალ სტანდარტებს. მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაციის დიდი მოცულობა. აღნიშნული ვებგვერდები უზრუნველყოფს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის და პროაქტიულად გამოქვეყნების სხვადასხვა საშუალებებს.

პროექტის განხორციელებისათვის არჩეული სტრატეგია მოიცავდა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებ-რესურსების და ნორმატიული ბაზის კვლევას/ანალიზის; ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებრივი მონაწილეობის მუნიციპალიტეტებზე მორგებული მოდულის უნიფიცირებული სისტემის მოთხოვნების განსაზღვრას და შექმნას; კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში შექმნილი ვებგვერდის კონცეფციის დანერგვას.

პროექტის შესრულების განრიგი გაწერილი იქნა 3 ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავდა არსებული ნორმატიული ბაზის კვლევას, ვებგვერდების მონიტორინგს და გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს. მეორე ეტაპი მოიცავდა უშუალოდ ტექნიკურ სამუშაოს და ვებგვერდის მოდულის შექმნას, სტრუქტურის აღწერის მომზადებას, HTML პროტოტიპის მომზადებას და ტექნიკური დავალების მომზადებას. პროექტის განხორციელების მესამე ეტაპზე გათვალისწინებული იყო ვებგვერდების დანერგვა და აღნიშნულ პროცესში ტრეინინგების და კონსულტაციების გამართვა.

პროექტის წარმატებით განხორციელების შესაფასებლად განსაზღვრული იქნა რამდენიმე ძირითადი შედეგი, რომელთა მიღწევასაც IDFI პროექტის ფარგლებში გეგმავდა. კერძოდ, ადვოკატირების კამპანიის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი აღჭურვილი უნდა იყოს ელექტრონული გამჭვირვალობის მარეგულირებელი სტანდარტიზებული ნორმატიული ბაზით. ამასთანავე, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მაგალითზე შექმნილი ვებგვერდის ახალი კონცეფცია გახდება მოდელური ქვეყნის სხვა რეგიონების თვითმმართველობებისათვის და ინსტიტუტი შეეცდება ვებგვერდის იგივე ფორმა დანერგოს საქართველოს ყველა დაინტერესებულ თვითმმართველობაში. მისაღწევ შედეგებს შორის ასევე აღსანიშნავია, რომ კახეთის მუნიციპალიტეტებს ექნებათ ინფორმაციის გამოქვეყნებისა და ელექტრონული ჩართულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ტექნიკურად გამართული ვებგვერდები, სადაც პროაქტიულად განთავსდება ინფორმაცია და შესაძლებელი იქნება მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

განახლებულ ვებგვერდებზე მოცემულია მოქალაქეთა მონაწილეობის და ინფორმირების სხვადასხვა მექანიზმები. ახალი ვებგვერდი გამოირჩევა რამდენიმე ძირითადი მოდულით, რომლებიც გამჭვირვალობის და ჩართულობის მაღალ სტანდარტებს უზრუნველყოფენ. ესენია: ელექტრონული პეტიციები, დოკუმენტების საძიებო ბაზა, მუნიციპალურ ხელისუფლებასთან პირდაპირი დაკავშირების არხები, მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდული, გამოკითხვის ფორმა, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული წესით მოთხოვნის ფორმა და მიმდინარე აუქციონებისა და ტენდერების მოდულები. გარდა ამისა, ახალ ვებგვერდებში ინტეგრირებულია საკრებულოს სხდომების და დაგეგმილი ღონისძიებების სვეტები, სადაც მომხმარებელს შეუძლია ინფორმაცია მიიღოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

პროექტის დასაწყისში IDFI-მ შეაფასა კახეთის მუნიციპალიტეტების ყველა ვებგვერდი. შეფასებს პროცესში ნათელი გახდა, რომ ყველა მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა საკუთარი ვებგვერდი, ხოლო ზოგიერთი არსებული ვებგვერდი არ აკმაყოფილებდა თანამედროვე საჭიროებებსა და მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდების აბსოლუტურ უბრავლესობაზე ჯეროვნად არ იყო განთავსებული ინფორმაცია, ხოლო ელექტრონული ჩართულობის მექანიზმები არ იყო გათვალისწინებული არც ერთ მოქმედ ვებგვერზე.

თავდაპირველად, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შეიმუშავა მუნიციპალური ვებგვერდების კონცეფცია, რომელიც ემყარებოდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. აღნიშნულ კონცეფციაში მოცემულია თუ როგორი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ვებგვერდის თითოეული კომპონენტი. კონცეფციაში გაზიარებულია როგორც აშშ-ს, ისე ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება მუნიციპალური ვებგვერდების შექმნის დროს. ამასთანავე, კონცეფცია ემყარება საერთაშორისო რეიტინგების და მიმოხილვების შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდები მომზადებულია ე.წ "open source" ბაზაზე, რაც მისი სამომავლო ადმინისტრირების და გაუმჯობესებისათვის ყველაზე მდგრად მიდგომას და საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს. კონცეფციის შემუშავებისას IDFI-ს მიერ შერჩეული იქნა Drupal-ის სისტემა, რომელიც საიტის კომპლექსური ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე საუკეთესო open source-ის კოდს წარმოადგენს.

პროექტის საწყის ეტაპზე IDFI-მ ასევე შეაფასა კახეთის ყველა (9) მუნიციპალიტეტის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლები, სადაც შეფასებული იყო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ხარისხი საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საკრებულოების დადგენილებებთან მიმართებაში. აღნიშნულ პროცესში IDFI-მ მუნიციპალიტეტებს წარუდგინა რეკომენდაციები პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

კონცეფციის პირველადი ვერსიის მომზადების შემდეგ პროექტის გუნდმა მოამზადა ვებგვერდის ინტერაქტიული პროტოტიპი, რომელიც Excel-ის ფორმატში იყო აწყობილი. კონცეფციისა და პროტოტიპის მომზადების შემდეგ, IDFI-ს ორგანიზებით

სასტუმრო ლოპოტა-ში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილული იყო კონცეფციის პირველადი ვერსია და ვებგვერდის პროტოტიპი. 2016 წლის 19 თებერვლის შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის და კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო როგორც არსებული მდგომარეობის შეფასება, ისე სამომავლოდ დასანერგი ვებგვერდების კონცეფცია. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა პროექტის გუნდს საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები მიაწოდეს, რომლებიც ასახული იქნა კონცეფციის საბოლოო ვერსიაში.

პროექტის ტექნიკური ნაწილის უზრუნველსაყოფად, IDFI-მ აწარმოა მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან. მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა მუნიციპალიტეტებისათვის სერვერების და gov.ge-ს ე.წ *Domain-ების* გამოყოფის შესახებ. აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგად, კახეთის მუნიციპალიტეტების ყველა ვებგვერდი განთავსებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სერვერზე და აქვს gov.ge დაბოლოება. ამჟამად, ახალი ვებგვერდები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- www.telavi.gov.ge
- www.telavi.mun.gov.ge (თელავის თემის მუნიციპალიტეტი)
- www.lagodekhi.gov.ge
- www.signagi.gov.ge
- www.kvareli.gov.ge
- www.dedoplistskaro.gov.ge
- www.sagarejo.gov.ge
- www.gurjaani.gov.ge
- www.akhmeta.gov.ge



შექმენი პეტიცია
დოკუმენტების ბაზა
დაუკავშირდი ხელისუფლებას
დაგეგმე ბიუჯეტი
შეავსე კითხვარი
მიმდინარე აუქციონები
ახალი ამბები
12 ოქტომბერი, 2016
jhgjhgjhjkjk
13 აგვისტო, 2016
დემოკრატიის სკოლა თელავში ფუნქციონირებას განაგრძობს
13 აგვისტო, 2016
კორპუსების სახურავების შემსწავლელმა ჯგუფმა შეხვედრა გამართა
საკრებულოს სხდომები
საკრებულოს 2016 წლის 9 მარტის მორიგი სხდომა
საკრებულოს სხდომა - 06.04.2016
28 დეკემბრის სხდომა - ნაწილი 1
2015 წლის 8 სექტემბრის მორიგი სხდომა [ვიდეო]
ანონსები
14 მარ
ქალაქ თელავის საკრებულოს კომისიის სხდომის ანონსი
8 თებ
ანონსი
11 აგვ
ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომა გაიმართება


მთავარი > პეტიციები
ძიება საიტზე
ძიება
ახალი პეტიციის შექმნა
პეტიციის შესახებ
პეტიციის დასახელება:
მიუთითეთ მოკლედ და ლაკონურად, თუ რას ითხოვს თქვენი პეტიცია.
პეტიციის ტექსტი:
ვრცელი ტექსტი თქვენი პეტიციის შესახებ
ყურადღება
გთხოვთ, პეტიციის შექმნამდე დარწმუნდეთ, რომ საიტზე უკვე არ არის დარეგისტრირებული მსგავსი პეტიცია. ამისთვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ ძიება:
ძიება პეტიციებში
ნინ
მიმდინარე პეტიციები


ცხელი ხაზი : (0 352) 22 12 01
გამოწერა:
თქვენი ელ.ფოსტა
English
ყვარლის მუნიციპალიტეტი
მთავარი
მუნიციპალიტეტი
ადგილობრივი ხელისუფლება
მოქალაქეს
ბიზნესს
სერვისები
საჯარო ინფორმაცია
ყვარლის შესახებ
მდებარეობა, განლაგება, მუნიციპალური ცენტრი
ისტორია
მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა
დაძმობილებული ქალაქები
მოსახლეობის რაოდენობა და ურბანული გადანაწილება
ბუნებრივი რესურსები
მუნიციპალიტეტის გამოჩენილი და საპატიო მოქალაქეები
ტურიზმი
ტურისტების სტატისტიკა
ღონისძიებების კალენდარი
ბუნება და კლიმატი
ტრადიციები და დღესასწაულები მუნიციპალიტეტში
უნიკალური სასმელები და კერძები მუნიციპალიტეტში
პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობა
ინფორმაცია რუკაზე
დარგობრივი სფეროები
ხელოვნება და კულტურა
სპორტი და სპორტული ღონისძიებები
სივრცითი მოწყობა რუკაზე
ტრანსპორტი
წყალმომარაგება და კანალიზაცია
დასუფთავება
სოფლის მეურნეობა
სამხედრო საქმე





2016 წლის 1 მარტს IDFI-მ გამართა შეხვედრა აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციასთანაც (ctc) და მიიღო რეკომენდაციები ვებგვერდის კონცეფციასთან დაკავშირებით, რომლებიც IDFI-მ ასევე ასახა კონცეფციის საბოლოო ვერსიაში. შეხვედრას ესწრებოდნენ ctc-ს პროექტის კოორდინატორი თამარ ნასყიდაშვილი, IDFI-ს პროექტის კოორდინატორი საბა ბუაძე და პროექტის IT დეველოპერი გიორგი წიკლაური. ვებგვერდის კონცეფციის შესახებ IDFI-მ ასევე გამართა შეხვედრა სსიპ - ვ. ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის წარმომადგენლებთან.

კონცეფციის საბოლოო ვერსიაზე დაყრდნობით IDFI-მ მოამზადა ტექნიკური დავალება, სადაც ტექნიკურად გაწერილი იყო ყველა ის მოთხოვნა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ ვებგვერდების დეველოპერებს. ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა ვებგვერდების „რესპონსიულობა", რაც იმას გულისხმობს, რომ ვებგვერდი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ტიპის მოწყობილობაზე (მობილური ტელეფონი, ტაბლეტი და კომპიუტერი.) ტექნიკური დავალების მომზადების შემდეგ

IDFI-მ ჩაატარა ფასთა გამოკითხვა და საუკეთესო პირობების გათვალისწინებით შეარჩია შპს „ომედია“.

ვებგვერდების შექმნის საწყის ეტაპზე შპს „ომედია“-მ მოამზადა ვებგვერდების დიზაინები. IDFI-ს და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს კონსულტაციების შემდეგ, მომზადებული იქნა დიზაინის ცვლილებები. ვებგვერდების საბოლოო დიზაინი დამტკიცდა 2016 წლის 16 მაისს, რის შემდეგაც შპს „ომედია“-მ დაიწყო ვებგვერდის ე.წ „დეველოპმენტი“.

თავდაპირველად შპს „ომედია“-მ მოამზადა ძირითადი ვებგვერდის სატესტო ვერსია, რომლის დამუშავების შემდეგაც მომზადდა დარჩენილი 8 ვებგვერდი.

ახალი ვებგვერდების ტესტირების შემდეგ, IDFI-ს ორგანიზებით გაიმართა ტრეინინგი ვებგვერდების ადმინისტრირების შესახებ, სადაც წარმოდგენილი იყვნენ კახეთის მუნიციპალიტეტების ის წარმომადგენლები, რომლებიც სამომავლოდ განახორციელებენ ვებგვერდების ადმინისტრირებას. ტრეინინგი გაიმართა 2016 წლის 26 აგვისტოს, სასტუმრო შატო მერეში. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილული იყო ვებგვერდის და მასში შემავალი მოდულების მართვის ტექნიკური ნაწილი. ვებგვერდების მართვის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, IDFI-მ ასევე უზრუნველყო ვებგვერდის ადმინისტრირების სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც ტრეინინგის შემდეგ გაიგზავნა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან.

ახალ მისამართებზე და მთავრობის ადმინისტრაციის სერვერზე გადატანის შემდეგ, ვებგვერდები სამართავად გადაეცა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს. იქედან გამომდინარე, რომ შპს „ომედია“ არ არის პასუხისმგებელი ვებგვერდებზე ახალი ინფორმაციის განთავსებაზე, ამჟამად ვებგვერდების ადმინისტრატორები თავად მუშაობენ ვებგვერდების ინფორმაციული ნაწილის შევსებაზე.

ახალი ვებგვერდები სრულ შესაბამისობაშია მუნიციპალიტეტების მოსახლეობის საჭიროებებთან და ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. შემუშავებისას ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ ვებგვერდები ყოფილიყო მოქალაქეზე ორიენტირებული. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ვებგევრდი უნდა იყოს მარტივი და არ უნდა იყოს გადატვირთული არასაჭირო სიახლეებით. ამასთანავე, ვებგვერდები მომხმარებელს ხელისუფლების საქმიანობაში ეფექტური ჩართულობის საშუალებას აძლევს. შემუშავებისას ასევე დიდი ყურადღება დაეთმო გამჭვირვალობას და საჯარო ინფორმაციის პროაქტული ხელმისაწვდომობის გაზრდას.

3. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მიზანი/მიზნები სრულად არ იქნა მიღწეული მიუთითეთ, რამ შეგიშალათ ხელი მიზნის/მიზნების მიღწევაში?

პროექტის მიზნები სრულად იქნა მიღწეული.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მიზანი/მიზნები სრულად არ იქნა მიღწეული, რას შეცვლიდით პროექტში მიზნის მიღწევისათვის?

პროექტის მიზნები სრულად იქნა მიღწეული.

5. რამდენად შესაბამება განხორციელებული პროექტი განაცხადში აღწერილს?

განხორციელებული პროექტი სრულად შეესაბამება განაცხადში აღწერილ მიზნებს, ამოცანებს და აქტივობებს. პროექტის მიზანი იყო მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოების გამჭვირვალობის ამაღლება, საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესება, და საზოგადოებრივი ჩართულობის ინტენსივობის გაზრდა. პროექტის ფარგლებში მომზადებული ვებგვერდები სრულ თანხვედრაშია ელექტრონული დემოკრატიის პრინციპებთან და უზრუნველყოფს ელექტრონული გამჭვირვალობისა ელექტრონული ჩართულობის ეფექტური მექანიზმების არსებობას, რაც სშუალებას მიცემს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს, მედიას და სამოქალაქო საზოგაეოებას, რომ აქტიურად ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში.

6. თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, გთხოვთ მიუთითოთ რა ვერ განხორციელდა

პროექტის მიმდინარეობისას დაბრკოლებას წარმოადგენდა მისი დაგეგმილ ვადაში დასრულება. პრობლემის აღმისაფხვრელად IDFI-მ ორჯერ მოითხოვა დამატებითი ხარჯის გარეშე პროექტის გაგრძელება, რაზეც ფონდმა ღია საზოგადოება საქართველო თანხმობა განაცხადა. აღნიშნული დაბრკოლების გარდა, პროექტის ყველა ამოცანა დაგეგმილის მიხედვით განხორციელდა.

7. თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, მიუთითეთ რა იყო ამის მიზეზი?

პროექტის ვადის გაგრძელების მიზეზი, ვებგვერდის რთული ტექნიკური დავალება გახდა. ჩატარებული წინასწარი მოკვლევისას ცხადი გახდა, რომ 9 ვებგვერდის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა 8 კვირის ვადაში. შესაბამისად, ვებგვერდების მოსამზადებლად და ტრეინინგის ჩასატარებლად IDFI-მ მოითხოვა დამატებითი ხარჯის გარეშე პროექტის გაგრძელება 2016 წლის 16 სექტემბრამდე. IDFI-მ პროექტი შეცვლილი ვადების დაცვით განახორციელა

8. რამდენად სწორად იყო შედგენილი პროექტის ბიუჯეტი?

პროექტის ბიუჯეტი ზუსტად არ ასახავდა პრეოქტის მიმდინარეობისას წარმოშობილ საჭიროებებს. კერძოდ, ვებგვერდების მომზადებისათვის გამოყოფილი თანხა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბიუჯეტის შესაბამის პუნქტში მოცემულ თანხას. ფასთა მოკვლევის პროცესში ცხადი გახდა, რომ 9 ვებგვერდის მომზადებისათვის გამოყოფილი თანხა შესაბამისად არ იყო გათვლილი პროექტის ბიუჯეტში.

მიუხედავად ამისა, ფასთა გამოკითხვისას შერჩეულ კომპანიას IDFI-მ გაუგზავნა კონტრ-წინადადება, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა თანხის შემცირება.

9. დაგჭირდათ თუ არა პროექტის ბიუჯეტში შესწორებების შეტანა პროექტის მსვლელობის დროს? (პროექტის ბიუჯეტში შესწორების შეტანის შემთხვევაში, მიუთითეთ შესწორებული პუნქტები, თანხის მითითებით)

პროექტის მსვლელობის დროს საჭირო გახდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. კერძოდ, ადმინისტრაციული და საორგანიზაციო ხარჯების პუნქტიდან 4438 აშშ დოლარი გადატანილი იქნა ტრანსპორტის ხარჯის და ელექტრონული მოდულის შექმნის მუხლებში. ტრანსპორტის ხარჯში გადატანილი იქნა 800.00 აშშ დოლარი, ხოლო ელექტრონული მოდულის შექმნის პუნქტში გადატანილი იქნა 3 638.00 აშშ დოლარი. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილება არ აღემატებოდა პროექტის ბიუჯეტის საერთო რაოდენობის 10%-ს.

ბიუჯეტის ცვლილებები შემდეგი კატეგორიებიდან განხორციელდა:

- პრეზენტაციის და ტრენინგის ხარჯები - $800
- საბეჭდი საშუალებები - $1988
- რეგიონში საცხოვრებელი ხარჯები - $300
- სადღეღამისო ნორმის ხარჯი - $600
- გაუთვალისწინებელი ხარჯები - $150
- საბანკო მომსახურების ხარჯები - $250
- საკანცელარიო საქონლის ხარჯები - $350

10. 5 ბალიან სისტემის გამოყენებით, რამდენი ბალით შეაფასებდით პროექტს?
(გთხოვთ, შემოხაზოთ სასურველი ციფრი)

1 2 3 4 5

11. ვისთვის იყო სასარგებლო თქვენს მიერ განხორციელებული პროექტი?

პროექტის პირდაპირ ბენეფიციარს კახეთის რეგიონის 9 მუნიციპლაიტეტის ხელისუფლება წარმოადგენს. IDFI-ს მიერ შემუშავებული ვებგვერდები პროექტის დასრულებისას გადაეცა ქალაქ თელავის, თელავის თემის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს და ყვარლის მუნიციპალიტეტებს. პროექტის არაპირდაპირი ბენეფიციარია კახეთის რეგიონის მოსახლეობა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი

მედია. ვებგვერდების და მათზე განავსებული მოდულების მომხმარებელი სწორედ მოსახლეობა უნდა გახდეს.

12. მიუთითეთ (*შეძლებისდაგვარად*) ხალხის რაოდენობა, ვინც მიიღო რაიმე სარგებელი თქვენს მიერ განხორციელებული პროექტიდან? მიუთითეთ *(შეძლებისდაგვარად)* ხალხის კატეგორია *(მაგალითად: სტუდენტები, ჟურნალისტები, მოსამართლეები, მოხუცები, ქალები, სკოლის მოწაფეები და ა.შ.)*

- o მუნიციპალიტეტების საკრებულები
- o მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ხელისუფლება
- o ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები
- o ადგილობრივი მედია
- o ტურისტები
- o კახეთის რეგიონის მოსახლეობა
- o ინვესტორები
- o ქვეყნის მასშტაბით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები

13. გაგრძელდება თუ არა თქვენი პროექტი მომავალში და თუ გაგრძელდება, რა პერიოდის განმავლობაში?

პროექტის ფარგლებში შექმნილმა ვებგვერდებმა სხვადასხვა ორგანიზაციის დაინტერესება გამოიწვია. კერძოდ, USAID- Good Governance Intitiative-მა გამოხატა ინტერესი ვებგვერდების პარტნიორ მუნიციპალიტეტებში დანერგვის შესახებ. ამასთანავე, ctc-მ გამოთქვა სურვილი ვებგვერდების მის პარტნიორ მუნიციპალიტეტებში დანერგვის შესახებ. IDFI მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას მუნიციპალური ვებგვერდების დახვეწაზე და მათი სხვა მუნიციპალიტეტებში დანერგვაზე.

14. პროექტის გაგრძელების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თუ რა სახეს მიიღებს ის.

პროექტის ფარგლებში მომზადებული ვებგვერდის კონცეფცია შესაძლებელია უფრო მარტივად გავრცელდეს საქართველოს დანარჩენ მუნიციპალიტეტებში. იქედან გამომდინარე, რომ ვებგვერდების პირველადი ვერსიები უკვე მომზადებულია, მისი სხვა მუნიციპალიტეტებში გავრძელება უფრო მარტივი და ხარჯეფექტური იქნება.

15. საკმარისი იყო ფონდის "ღია საზოგადოება-საქართველო" დახმარება თქვენს მიერ დასახული მიზნის მისაღწევად და მომავალი საქმიანობისათვის (მონიშნეთ სასურველი პასუხი)?

√ ☐

დიახ არა

16. დაამყარეთ თუ არა კონტაქტი თქვენი საქმიანობის სფეროში აქტიურად მომუშავე ორგანიზაციებთან/კერძო პირებთან(მონიშნეთ სასურველი პასუხი)?

√ ☐

დიახ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩამოთვალეთ ეს ორგანიზაციები/პირები:

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
- კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია
- საქართველოს რეგიონული განვითრებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი(ctc)

17. გქონდათ თუ არა პროგრამის კოორდინატორთან კონტაქტი პროექტის მსვლელობის პერიოდში(მონიშნეთ სასურველი პასუხი)?

√ ☐

დიახ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩამოთვალეთ საკითხები:

- პროექტის ვადის გახანგრძლივება
- ბიუჯეტის მუხლებში ცვლილებების განხორციელება
- ვებგვერდების კონცეფციის შინაარსის განხილვა
- ვებგვერდის დიზაინის განხილვა
- პროექტის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგება

18. დაგჭირდათ თუ არა პროექტის კოორდინატორის დახმარება პროექტის მსვლელობისას(მონიშნეთ სასურველი პასუხი)?

√ ☐

დიახ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩამოთვალეთ რაში მიიღეთ დახმარება:

- ბენეფიციარებთან კომუნიკაცია
- პროექტით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვა
- ……
- ……

19. პროექტის მსვლელობისას აწვდიდით თუ არა პროგრამის კოორდინატორს პროექტთან დაკავშირებულ ინფორმაციას/მასალას (პუბლიკაციები, მოსაწვევები ა.შ) განსახილველად(მონიშნეთ სასურველი პასუხი)?

√	
დიახ	არა

20. როგორ აკონტროლებდა თქვენი პროგრამის კოორდინატორი თქვენს მუშაობას?

პროგრამის კოორდინატორი ითხოვდა პროექტის მიმდინარეობის შუალედურ ანგარიშს, სადაც მოცემული იყო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ განახლებული ინფორმაცია. შუალედური თხრობითი და ფინანსური ანგარიშების გარდა, პროგრამის კოორდინატორის ინფორმირება ხდებოდა პროექტით გათვალისწინებულ ყველა ეტაპზე. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდა, როგორც ელ-ფოსტით, ისე პირისპირ შეხვედრების საშუალებით.

21. დააფიქსირეთ თუ გაქვთ რაიმე საქმიანი შენიშვნა პროექტის კოორდინატორის ან ფონდის მუშაობასთან დაკავშირებით

პროექტის კოორდინატორის ან ფონდის მუშაობასთან დაკავშირებით IDFI-ს არ გააჩნია შენიშვნები.